თანხმობა

მე, არქიტექტორი იოსებ ბარამაშვილი (პ/ნ:14001027185), როგორც ქ.თბილისში ვახუშტი ბაგრატიონის N3_ში 2022 წლის 28 ოქტომბერს N6183282 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ავტორი ვუცხადებ თანხმობას არქიტექტორს: მიხეილ ლაითაძეს (პ/ნ:01024012095) მასზედ, რომ მან განახორციელოს არქიტექტურული პროექტის კორექტირება და შეათანხმოს იგი ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოებთან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამომავლოდ არ განვაცხადებ რაიმე სახის პრეტენზიას.

პატივისცემით,

იოსებ ბარამაშვილი

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაოთხი წლის ათ ივნისს მე, დიანა სვანაძეს, ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ #109, მომმართა: იოსებ ბარამაშვილმა, მან წარმოადგინა ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად შედგენილი თანხმობა და მოითხოვა მასზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა: იოსებ ბარამაშვილმა /დაბ. 01.03.1996წ. პირადი: #14001027185, რეგისტრირებული მისამართზე: დედოფლისწყარო ს. ქვემო ქედი მე–10 ქ. N 18/

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე ხელმოწერის სამართლებლივი შედეგები, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს. ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის შინაარსისა და მასში წარმოდგენილი ფაქტების დადასტურებას.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“, 31-ე და 39-ე მუხლების თანახმად, გადახდილია სანოტარო საზღაური ერთი ეგზემპლიარისათვის, თითოეული ერთ გვერდად და სულ ერთი ხელმოწერისათვის 6,00 ლარი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 (ხუთი) ლარი, და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად დღგ: 1.08 ლარი. ჯამში: 12.08 ლარი.

ნოტარიუსი დიანა სვანაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240712326
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	10.06.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	დიანა სვანაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #109
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 95 77 45
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	41427686355824

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

"RIVERS TOWERS" ltd
შპს „რივერს ტაუერსი"
თბილისი აგლაძის ქ 1; ს/კ 201943503 ; ტელ: 032 2 55 45 00 ელ.მ. riverstowers@gmail.com

ქ. თბილისი 17 ივნისი 2024 წ

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, შპს „შპს რივერს ტაუერსი"-ის (ს.კ.201943503) დირექტორი, იოსებ ფიჩხაძე (პირადი #01097001007) ვენდობი მიხეილ ლაითაძეს (პ/ნ 01024012095), რომ იყოს ჩვენი წარმომადგენელი თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებში, არქიტექტურის სამსახურში, საკრებულოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, ზედამხედველობის სამსახურში, საჯარო რეესტრში, ჩემს საკუთრებაში მყოფ უძრავ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს თბილისში, ვახუშტი ბაგრატიონის ქ. #3 (საკადასტრო კოდი 01.13.07.002.042)

მინდობილი პირი უფლებამოსილია განახორციელოს თბილისის მერიის, არქიტექტურის სამსახურში მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების, ესკიზის წინასწარი შეთანხმების, მშენებლობის ნებართვის და დასრულებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა. შეიტანოს და მიიღოს ყველა საბუთი, რომელიც საჭირო იქნება აღნუშნულთან დაკავშირებით. მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად და შეასრულოს ყველა საჭირო ქმედება, რაც არ არის ჩამოთვლილი მაგრამ საჭირო იქნება დავალების შესასრულებლად.

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია 2024 წლის 30 ოქტომბრამდე.

შპს „შპს რივერს ტაუერსი"-ის დირექტორი:

/იოსებ ფიჩხაძე/